სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18809653258626

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261612164

რეგისტრაციის თარიღი

14.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნიკოლოზ ბერიკაშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია სუხიშვილის ქუჩა N 45, ბლოკი "ა", სართული 2, ბინა N 2
ტელეფონი: 598517518

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის თოთხმეტ ნოემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუს ნიკოლოზ ბერიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, იალია სუხიშვილის ქუჩა N 45, ბლოკი "ა", სართული 2, ბინა N 2, მომმართა- **თამაზი დევდარიანმა** (დაბ.: 14.04.1954 წ., პირადი ნომერი: 60001019980, გვიხადებული მისამართით: საქართველო, ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N 43, ბინა 34), მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზემოხსენებულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე სანოტარო აქტის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტი სანოტარო აქტის მონაწილეს წაეკითხა ჩემს, ნოტარიუსის მიერ, სანოტარო აქტი „მიმწდობმა" თავადაც წაიკითხა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას, მოიწონა, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ამ მინდობილობით, **თამაზი დევდარიანმა** (დაბ.: 14.04.1954 წ., პირადი ნომერი: 60001019980), შემდგომში "მიმწდობი", **მაია კახნიაშვილს** (დაბ.: 05.11.1982 წ., პირადი ნომერი: 59004000330), შემდგომში **„მინდობილი პირი"** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია „მიმწდობის" საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით- **მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, ნოდარ კვიციანის ქუჩა, N 3, ს.კ: 01.81.08.399.037,** იყოს „მიმწდობის" წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, იუსტიციის სამინისტროში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ საექსპერტო დაწესებულებაში, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში,** მის სამსახურებში (მათ შორის: ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ქონების მართვის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, იურიდიულ სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპებში და სხვ.) და ტერიტორიულ ორგანოებში, საკრებულოში, გამგეობაში, ნებისმიერ კომუნალური მომსახურების ობიექტებში, აიღოს და შეიტანოს ცვლილებები უძრავი ქონების სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/ მიშენების/ დაშენების/ დემონტაჟის, ფასადის რეკონსტრუქციის, ღობის ამოჭრის, შენობის მოპირკეთების, ღობის აშენების, და სხვა ნებისმიერი სახის საჭირო ნებართვები, **აწარმოოს ახალი მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული საქმეები,** მოახდინოს შენობა-ნაგებობის პროექტირება, შეათანხმოს პროექტები, შეათანხმოს ნებისმიერ კლასს მიკუთვნებულ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები/ დამატებები/შესწორებები, უზრუნველყოს პროექტის დასრულება, მოახდინოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, ერთიანი გენერალური გეგმის პროექტის დამუშავება და განხორციელება, რისთვისაც შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება. „მიმდობის" სახელით განაცხადოს ნებისმიერი ტიპის თანხმობები, გააკეთოს განცხადებები რაც საჭირო იქნება მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, მოიპოვოს ნებართვები, შეიტანოს, შეადგინოს, გადააკეთოს პროექტი, მოახდინოს ცვლილების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, შეუცვალოს სტატუსი, მიანიჭოს ნომერი, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებებში, გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და ჩააბაროს დოკუმენტაცია ხელახლა, უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღება, მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა/ჩატარება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით."მიმწდობის" სახელით შეაგროვოს/ აიღოს/ წარადგინოს/ მოითხოვოს/მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ნებართვა, ინფორმაცია, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას (მათ შორის ელექტრონულად), გადაიხადოს გადასახადები, მოსაკრებლები, ჯარიმები და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია 2027(ორი ათას ოცდაშვიდი) წლის 14(თოთხმეტი) თებერვლის ჩათვლით. მინდობილობა გაცემულია სხვა პირზე გადანდობის უფლების გარეშე, მიმდობს განემარტა, რომ იგი უფლებამოსილია ვადამდე გააუქმოს მინდობილობა და ამასთან, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის მინდობილ პირს. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნიკოლოზ ბერიკაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, აქედან: 18 (თვრამეტი) ლარი ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად) და დღგ 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

„მიმნდობის" ხელმოწერა _____

ნოტარიუსი _____ /ნიკოლოზ ბერიკაშვილი/